

შეტყობინება პირველი

ცენტრალური აზრი მეფეთას პირველი და მეორე წიგნებისა და ღვთაებრივი სამება გახსნილი ამ წიგნებში

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 1:3, 7, 10-11, 19-24; 2:11, 35; 3:9-11, 21; 7:3-6; 8:4-22; 16:1-3, 13; 2 მეფ. 23:1-3; 24-25

I. ცენტრალური აზრი პირველი და მეორე მეფეთას წიგნებისა არის ის, რომ ღმერთის სახლმშენებლობის აღსრულებისათვის აუცილებელია ადამიანის თანამშრომლობა – განკაცების პრინციპი:

- ა. განკაცების პრინციპი არის ის, რომ ღმერთი შედის ადამიანში და ერწყმის ადამიანს, ხდის ადამიანს ერთს თავის თავთან; ამგვარად, ღმერთი არის ადამიანში; ხოლო ადამიანი – ღმერთში; ასე რომ მათ აქვთ ერთი სიცოცხლე და ერთი ცხოვრება – იოანე 14:4-5; გალ. 2:20
- ბ. ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს იმ ფაქტმა, რომ ღმერთის სახლმშენებლობის აღსრულებისათვის საჭიროა ჩვენი თანამშრომლობა; ღმერთთან თანამშრომლობა – ნიშნავს, ვიყოთ დაკავშირებული ღმერთთან – 1 კორ. 6:17; იოანე 15:4-5; 2 კორ. 6:1; 1 კორ. 3:9; 16:10, 16.
- გ. ღმერთთან თანამშრომლობის ილუსტრაციას პირველ და მეორე მეფეთას წიგნებში დადებითი თვალსაზრისით ემსახურება სამუელის დედის, ანნას, ისტორია, სამუელის ისტორია და დავითის ისტორია, ხოლო უარყოფითი თვალსაზრისით – ეელისა და საულის ისტორია.
- დ. ღმერთთან თანამშრომლობა განკაცების პრინციპით დაკავშირებულია კეთილი მიწით პირად ტკობასთან, რომელიც არის წინასახე ყოვლისმომცველი და ყოვლადგვრცელი ქრისტესი – რჯლ. 8:7-10.
  - 1. მეფეთას პირველ და მეორე წიგნებში, რომლებიც წარმოადგენენ იესო ნავეს ძის წიგნის, მსაჯულთა წიგნისა და რუთის წიგნის გაგრძელებას, მოყვანილია დეტალები, დაკავშირებული ღმერთის მიერ მოცემული კეთილი მიწით ტკობისა.
  - 2. წინასახეები მეფეთას პირველ და მეორე წიგნებში გვიჩვენებენ, რომ ახალ აღთქმისეულ მორწმუნეებს შეუძლიათ და უნდა დატკბნენ ქრისტეთი, როგორც ხვედრით, რომელიც მიცემული აქვთ მათ ღმერთისაგან, ღმერთის სამეფოს, ანუ ეკლესიის დასაფუძნებლად – კოლ. 1:12; მათე 16:18-19; რომ. 14:17:
    - ა) მეფეთას პირველ და მეორე წიგნებში კეთილი მიწა, რომლითაც ტკბებოდნენ ადამიანები, ღმერთთან თანამშრომლობით, გახდა ღმერთის სამეფო.
    - ბ) ჩვენ, ღმერთთან თანამშრომლობისას, უნდა დავტკბეთ ქრისტეთი იმ დონეზე, რომ ჩვენი ტკობა ქრისტეთი გახდეს ღმერთის სამეფო, რომელშიც ჩვენ ვმეფობთ ქრისტესთან ერთად სიცოცხლეში – რომ. 5:17; 14:17.

II. ჩვენ უნდა დავინახოთ ღვთაებრივი სამება, როგორც ის გახსნილია პირველ და მეორე მეფეთას წიგნებში:

- ა. ღმერთის ჩანაფიქრი მის რჩეულ ხალხთან დაკავშირებით არის არა უბრალოდ ის, რომ მათ დაამარცხონ მტრები და მთლიანად დაეუფლონ კეთილ მიწას, არამედ ის, რომ მათ დაამყარონ სამეფო ამ მიწაზე:
1. იმისათვის, რომ აღასრულოს თავისი განზრახვა – მიიღოს გამოხატულება, ღმერთს სჭირდება სამეფო, სფერო, რომელშიც ის გამოხატავს თავის თავს – 1 მეფ. 10:25; მათე 6:10; ლუკა 1:33.
  2. ისრაელის შვილები იყვნენ გამოყვანილნი ეგვიპტიდან და მიყვანილნი უდაბნოს გავლით იქ, სადაც მათ ააშენეს სავანე ღმერთისათვის; შემდეგ ისინი შევიდნენ კეთილ მიწაზე და თითოეულ მუხლს მიეცა ხვედრად მიწის ნაწილი, რათა ღმერთს მიეღო სამეფო დედამიწაზე – იესო ნ. 13:1–22:34.
  3. პირველი და მეორე მეფეთას წიგნები უკიდურესად მნიშვნელოვანია სამეფოს მოსატანად – 1 მეფ. 8:4-22; 10:25; 13:14; 15:28; 16:1-3, 13.
- ბ. მსაჯულთა წიგნში აღწერილი უბადრუკი სიტუაციის გამო, არსებობდა მძაფრი და სასოწარკვეთილი საჭიროება ისეთი ადამიანისა, როგორც იყო საული – 1 მეფ. 2:35; 3:21:
1. სამეფელი იყო ნაზარეველი, მღვდელი, წინასწარმეტყველი და მსაჯული; ამ ოთხმხრივმა სტატუსმა მისცა სამეფელს უფლება, ყოფილიყო ის, ვისაც შეეძლო მოეტანა სამეფო და დაედგინა სამეფო.
  2. ღმერთის მიზანი არის არა ის, რომ სამეფელი ყოფილიყო მღვდელი, წინასწარმეტყველი და მსაჯული; ღმერთს განზრახული ჰქონდა დაემყარებინა სამეფო მეფესთან ერთად – 8:7; 13:14.
- გ. პირველ და მეორე მეფეთას წიგნებში იხსნება, რომ მეფის მოყვანა და სამეფოს დამყარება დამოკიდებულია ღვთაებრივი სამების მონაწილეობაზე იმაში, რაც შეეხება ღმერთის ხალხს:
1. იმისათვის, რომ ისეთი ადამიანი, როგორც არის სამეფელი, იყოს დაყენებული და განახორციელოს თავისი დავალება, საჭირო იყო ღვთაებრივი სამება – 1 მეფ. 1:10-11, 20; 10:1, 6; 16:1-3.
  2. ამის გამო პირველი და მეორე მეფეთას წიგნებში არის დეტალური, დახვეწილი გამოცხადება ღვთაებრივი სამების შესახებ, მნიშვნელოვანი მომენტი ისტორიაში, ჩაწერილი მეფეთას პირველ და მეორე წიგნებში, არის ის, რომ საჭირო იყო ღვთაებრივი სამება – 2 მეფ. 22:1-3; 23:1-3; 24:25.
- დ. ღვთაებრივი სამება და უზენაესი ძალაუფლების მქონე ხელი უფლისა გახსნილია მეფეთას პირველი წიგნის 1-ლ თავში:
1. მიუხედავად დეგრადირებულ ისრაელში არსებული ქაოსის სიტუაციისა, ელკანა და ანნა დარჩნენ სიცოცხლის ხაზზე, რომელიც დადგენილი იყო ღმერთის მიერ მისი მარადიული ჩანაფიქრისათვის – მუხ. 1-5, 10-11, 20, 24.
  2. ელკანა ყოველ წელს თავის ოჯახთან ერთად მიდიოდა ღმერთის სახლში, სავანეში, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა სილოამში, რათა თავყვანი ეცა და მიეტანა შესაწირავი იოჰოვასათვის – მუხ. 3, 21-24:
    - ა) მუხლებში 3-7. 10-11, 20 და 24 მსხვერპლები არის წინასახე ქრისტესი როგორც ყველა შესაწირავისა; ხარები, ფქვილი და ღვინო აღნიშნავს ქრისტეს, რომელსაც ჩვენ განვიცდით და მიგვაქვს ღმერთის სახლში ღმერთისათვის მისატანად.
    - ბ) იეჰოვა არის დიადი „მე ვარ“, ხოლო იეჰოვას სახელი არის ქრისტე როგორც განსხეულება ღმერთისა, რათა იყოს ღმერთის საცხოვრებელი ღმერთის ხალხს შორის – მუხ. 10-11.

- გ) ამ განყოფილებაში ნახვენებია ძირითადად ღმერთის სახლი როგორც განსხეულება სამერთიანი ღმერთისა და შესაწირავი როგორც საშუალება, რომლის წყალობითაც ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ ღმერთის განსხეულებაში და რომელიც არის გამოსყიდვა; ამგვარად, ამ მუხლებში ჩვენ ვხედავთ ღმერთის განსხეულებას და ღმერთის სრულ გამოსყიდვას – შდრ. იოანე 1:14, 29; ლუკა 1:68; 2:38; ეფეს. 1:7.
  - 3. ვინაიდან იეჰოვამ საშო დაუხშო ანნას, ის იძულებული იყო ელოცა სასოწარკვეთით, მიძღვნილი და მიმძღვნელი ლოცვით; მოტივირებული ღმერთის უზენაესი ძალაუფლებითა და საიდუმლოდ, ის ლოცულობდა ძე ვაჟზე, რომელიც იქნებოდა აბსოლუტურად მიძღვნილი უფლისათვის – 1 მეფ. 1:5, 10-12, 15.
- ჟ. მეფეთას პირველ და მეორე წიგნებში ჩვენ ვხედავთ, რომ სამერთიანი ღმერთი თავის განკაცებასთან და გამოსყიდვასთან ერთად სრულად მონაწილეობდა სამუელისა და დავითის დაბადებაში, რათა ყოფილიყო მოყვანილი ღმერთის სამეფო:
  - 1. ღვთაებრივი სამება გახსნილია დავითის როგორც მეფის ცხებულებაში – 1 მეფ. 16:1-3, 13:
    - ა) ამ მუხლებში ჩვენ ვხედავთ სამერთიან ღმერთს როგორც იეჰოვას და სამერთიანი ღმერთის სულს როგორც იეჰოვას სულს – მუხ. 13.
    - ბ) ზეთი არის წინასახე ღმერთის სულისა, ხოლო მსხვერპლად მიტანილი დეკეული – ქრისტეს როგორც შესაწირავის წინასახე; ამგვარად, ღვთაებრივი სამება მონაწილეობას დებულობდა დავითის ცხებაში, რომლის წყალობითაც ის გახდა მეფე ისრაელზე – ფსალ. 89:20.
  - 2. დავითის სიმღერის სიტყვებში, რომლებიც წარმოთქმულია იეჰოვასადმი 2 მეფ. 22:1-3-ში, ნახსენებია იეჰოვა როგორც მისი კლდოვანი ადგილი, სიმაგრე, მსხნელი, კლდე, და ასევე ფარი და გადარჩენის რქა; 47-ე მუხლში დავითი აცხადებს: „ცოცხალია იეჰოვა; და კურთხეულია ჩემი კლდე! ამაღლდეს ჩემი ღმერთი, კლდე ჩემი ხსნისა“.
  - 3. 2 მეფ. 23:1-3-ში – დავითის ბოლო სიტყვებში – იეჰოვას სული ლაპარაკობდა მისი მეშვეობით და ისრაელის კლდე ელეპარაკებოდა მას – მუხ. 2-3:
    - ა) ამ მუხლებში კლდე არის ქრისტე, როგორც საფუძველი, იმისათვის, რომ ღმერთმა მისცეს მადლი თავის ხალხს.
    - ბ) იეჰოვას სული – არის სამერთიანი ღმერთის სული – 1 მეფ. 10:6; 16:13.
    - გ) ამ მუხლებში სიტყვა „ღმერთი“ ებრაულად არის „ელოჰიმი“, რაც მიუთითებს სამერთიან ღმერთზე.
  - 4. მე-2 მეფეთას 24:25-ში სრულადდასაწველი არის წინასახე ქრისტესი ღმერთის დაკმაყოფილებისათვის, ხოლო სამშვიდობო შესაწირავები – წინასახე ქრისტესი მშვიდობისათვის ღმერთსა და მის ხალხს შორის.

**III. ჩვენი დღევანდელი სიტუაცია და ღმერთის საჭიროება დღეს პრინციპში არის ისეთივე, როგორიც სიტუაცია და საჭიროება სამუელის დროს – 1 მეფე. 8:4-22:**

- ა. არსებობს გადაუდებელი საჭიროება იმისა, რომ ზოგიერთმა ილოცოს ნამდვილი ლოცვებით ღმერთის მიზნისათვის, როგორც ამას აკეთებდა ანნა, და იმისათვის, რომ იყვნენ ღირსეული ადამიანები, მსგავსად სამუელისა – ნაზარეველის, მღვდლის, წინასწარმეტყველისა და უკანასკნელი მსაჯულის, – რომელიც ღმერთმა გამოიყენა იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღო არეული სიტუაციისათვის ღმერთის ხალხს შორის და მოეყვანა მეფე და სამეფო – 2:35:

1. იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ ღოცვა, რათა დაგაკმაყოფილოთ ღმერთის საჭიროება დღეს, ჩვენ გვჭირდება ქრისტე როგორც განსხეულება სამერთიანი ღმერთისა და სინამდვილე ყველა შესაწირავისა, და ჩვენ გვჭირდება შესაკრებელი კარავის აღსრულება, რასაც წარმოდგენს ეკლესია როგორც ღმერთის საცხოვრებელი – კოლ. 2:9-10; ეფეს. 2:21-22; ებრ. 8:1-2; 10:8-10.
  2. გარკვეულ წილად ქრისტე, ჩვენი მეფე, ჯერ კიდევ არ არის აქ, და ჩვენ ისევ ვიმყოფებით ისეთივე არეულ სიტუაციაში, როგორც მსაჯულთა საუკუნეში – მსაჯ. 21:25.
  3. ღმერთის სამეფოს აღსრულება არის სამეფოს მოსვლა, რომელიც იქნება მოყვანილი უფალ იესოს მიერ, მაგრამ დღეს არსებობს საჭიროება იმაში, რომ ზოგიერთი, მსგავსად სამუელისა, თანამშრომლობდეს ღვთაებრივ სამებასთან, მოიტანოს ეს სამეფო – მათე 6:33; 1 კორ. 6:17; 16:10; 2 კორ. 6:1.
  4. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ის თუ რამდენად გვჭირდება ღვთაებრივი სამება, რათა ვილოცოთ ქმედითი ღოცვებით და რათა მოვიტანოთ სამეფო – მათე 6:10, 13; გამოცხ. 1:4-7; 8:3-5.
- ბ. სამერთიანი ღმერთი თავისი განსხეულებით, თავისი გამოსყიდვით და თავისი სულით გვხდის ჩვენ შემადგენლობით ადამიანებად მისი მოსვლისათვის და მისი სამეფოსათვის – 2 კორ. 13:14.
- გ. ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რომ სამერთიანი ღმერთი მონაწილეობს დღეს იმაში, რაც გვეხება ჩვენ, მოქმედებს ჩვენში, რათა აღასრულოს თავისი ნება, განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი და დააკმაყოფილოს თავისი გულის სურვილი – ფილიპ. 2:13; ებრ. 13:21; ეფეს. 1:5, 9, 11; 5:17; კოლ. 1:9; რომ. 12:2; გამოცხ. 4:11:
1. თუ ჩვენ დავინახავთ ამ ხედვას, მაშინ ის საფუძვლიანად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას იმაზე, თუ რას ნიშნავს, ვიყოთ ქრისტიანი – საქმე. 26:19; რომ. 12:7-8; 2 კორ. 5:14-15; ეფეს. 3:16-17.
  2. ჩვენი ბუნებრივი, რელიგიური, კულტურული, ზნეობრივი და ეთიკური წარმოდგენა ქრისტიანულ ცხოვრებაზე აუცილებელია, შევცვალოთ მასში მთლიანად ჩართული სამერთიანი ღმერთის ხედვით – მათე 28:19; 2 კორ. 13:14; ეფეს. 4:4-6; გამოცხ. 1:4-7.